COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

იუსტიციის უმაღლესი სკოლა
სტრატეგიული გეგმა
2014-2018 წლები

დოკუმენტი შემუშავებულია ევროპის საბჭოს პროექტის „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესაძლებლობების განვითარების“ ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ნიდერლანდების სამეფოს საგარეო ვაჭრობისა და განვითარების თანამშრომლობის სამინისტროს მიერ

2014 წელი

(ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის დაცვის გენერალური დირექტორატი, ევროპის საბჭო)

I. შესავალი

იუსტიციის უმაღლესი სკოლა არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც დაარსდა 2006 წელს. მისი დანიშნულებაა სამოსამართლო კანდიდატების პროფესიული მომზადება და მოსამართლეების გადამზადების პროგრამების განხორციელება. გარდა ამისა, სკოლა ახორციელებს მოსამართლის თანაშემწეებისა და სასამართლოს სხვა მოხელეების მომზადებასა და გადამზადებას.

ევროპის საბჭო, იუსტიციის უმაღლესი სკოლის მენეჯმენტის თხოვნით, ხელს უწყობს ორგანიზაციას გაძლიერებასა და მოდერნიზებაში, რათა სკოლამ უკეთ დააკმაყოფილოს სამოსამართლო კანდიდატების, მოქმედი მოსამართლეებისა და სასამართლოს სხვა მოხელეების საჭიროებები საწყისი პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროცესში.

ამ მიზნის მისაღწევად, ევროპის საბჭომ იუსტიციის უმაღლეს სკოლასთან ერთად, ჩაატარა საჭიროებების ყოვლისმომცველი შეფასება, რათა გამოევლინა სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები და მასზე დაყრდნობით შეემუშავებინა გამოვლენილი ნაკლოვანებების მოგვარების მოკლე და გრძელვადიანი სტრატეგია და გეგმები.

საჭიროებების შეფასება განხორციელდა შემდეგი მიმართულებებით:

სტრუქტურულ და პროცედურულ სფეროში არსებული საჭიროებების ანალიზი

- მარეგულირებელი აქტების ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება
- იუსტიციის უმაღლესი სკოლის სტრუქტურა და ორგანიზაცია: ინსტიტუციური ჩარჩო
- მენეჯმენტის პრაქტიკული საქმიანობა და მის შესაძლებლობებთან დაკავშირებული საჭიროებები
- რესურსები: თანამშრომლები და მასწავლებლები, ბიუჯეტი და შენობები
- კოორდინაციის მექანიზმები: იუსტიციის უმაღლესი სკოლა და იუსტიციის უმაღლესი საბჭო, იუსტიციის უმაღლესი სკოლა და მისი ბენეფიციარები
- კვლევითი შესაძლებლობები
- თანამშრომლობა: სასამართლო სისტემასთან, მართლმსაჯულების სისტემის სხვა სასწავლო ცენტრებთან და დონორებთან.

სასწავლო კურსების შეფასება (საწყისი პროფესიული მომზადებისა და გადამზადების სასწავლო კურსები)

- სასწავლო კურსების მოთხოვნები და სტრუქტურა
- სასწავლო კურსების საჭიროებების შეფასება, სასწავლო კურიკულუმების შემუშავება და შეფასება
- სასწავლო პროგრამების შინაარსი
- სწავლების მეთოდები და განხორციელება
- მასწავლებლები და მათი შეფასება
- ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სწავლების პროცესში.

სკოლის საკომუნიკაციო პროცესების ანალიზი

- შიდა კომუნიკაცია
- მოსამართლეების სწავლებისა და გადამზადების საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძრაობა და კომუნიკაცია სასამართლო სისტემას, იურიდიულ ფაკულტეტებს, ადვოკატთა ასოციაციას, პროფესიულ ორგანიზაციებს, სამოქალაქო საზოგადოებასა და იუსტიციის უმაღლეს სკოლას შორის

- შეფასების პროცესისა და შიდა კვლევების დასკვნების გამოყენება
- კომუნიკაცია პროცესში მონაწილე მხარეებსა და ბენეფიციარებს შორის
- ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და საინფორმაციო ქსელების გამოყენება.

სამუშაო პროცესი განხორციელდა ექსპერტების სამი ჯგუფის მიერ:

- **სტრუქტურული და პროცედურული ანალიზი**

დრაგომირ იორდანოვი (ბულგარეთი, ევროპის საბჭოს ექსპერტი)
ხათუნა ნაჭყებია (საქართველო, ადგილობრივი ექსპერტი)
ქეთევან ხარატიანი (საქართველო, ადგილობრივი ექსპერტი)

- **ტრენინგის შეფასება**

მარინა ნაუმოვსკა-მილევსკა (ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია, ევროპის საბჭოს ექსპერტი)

- **კომუნიკაციის შეფასება**

მაიკლ რორი უიკსთიდი (გაერთიანებული სამეფო, ევროპის საბჭოს ექსპერტი)
მარინა იმერლიშვილი (საქართველო,ადგილობრივი ექსპერტი)

წინამდებარე დოკუმენტი იუსტიციის უმაღლესი სკოლის სტრატეგიულ გეგმას წარმოადგენს. სტრატეგიული გეგმის მიზანია განსაზღვროს ის პრიორიტეტები და სტრატეგიული მიმართულებები, რომლითაც იუსტიციის უმაღლესი სკოლა იხელმძღვანელებს მომავალი 4 წლის განმავლობაში (2014-2018 წწ.). დოკუმენტი მომზადებულია ევროსაბჭოს პროექტის „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესაძლებლობების განვითარება“ ფარგლებში (ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის დაცვის გენერალური დირექტორატი) და დაფინანსებულია ნიდერლანდების სამეფოს საგარეო ვაჭრობისა და განვითარების თანამშრომლობის სამინისტროს მიერ.

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის შესახებ

საჭიროებების შეფასების პროცესის დასრულების შემდეგ გაიმართა სამუშაო შეხვედრები, რომლებიც მიზნად ისახავდა საჭიროებათა შეფასების შედეგებზე დაყრდნობით სკოლის განვითარების სტრატეგიის განსაზღვრას და სამოქმედო გეგმის შემუშავებას. სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესში მონაწილეობდნენ ქართველი და ევროპელი ექსპერტები, ასევე იუსტიციის უმაღლესი სკოლის მენეჯმენტი. სამუშაო შეხვედრები მიმდინარეობდა 24 მარტიდან აპრილის ჩათვლით. სამუშაო პროცესი ასევე, მოიცავდა სამთავრობო სტრატეგიული დოკუმენტებისა და ანგარიშების მიმოხილვას.

II. იუსტიციის უმაღლესი სკოლის ხედვა, მისია და ღირებულებები

იუსტიციის უმაღლესი სკოლის ხედვაა:

იუსტიციის უმაღლესი სკოლა არის ეფექტიანი და შედეგზე ორიენტირებული მაღალი რეპუტაციის მქონე საგანმანათლებლო ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს სამოსამართლო კანდიდატების, მოსამართლეების, მოსამართლეების თანაშემწეების და სასამართლოს სხვა თანამშრომლების მაღალ პროფესიულ სწავლებას.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის მისია

იუსტიციის უმაღლესი სკოლის მისიაა მართლმსაჯულების სისტემის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა.

ღირებულებები:

- ადამიანის უფლებები და კანონის უზენაესობა
- დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა
- პროფესიონალიზმი
- საქმისადმი ერთგულება

საქმიანობის პრინციპები

- გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება
- კოლეგიალობა, გუნდურობა
- სწავლების ხარისხზე მუდმივი ზრუნვა
- შედეგზე ორიენტირებული საქმიანობა
- სკოლის ეთიკის პრინციპების ერთგულება

III. სტრატეგიული ჩარჩო

მისია: მართლმსაჯულების სისტემის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა

სტრატეგიული მიზანი 1. ხარისხიანი სწავლების უზრუნველყოფა

- **ამოცანა 1.1** სამოსამართლო კანდიდატების სწავლის ხანგრძლივობის გაზრდა
- **ამოცანა 1.2** სწავლების საჭიროებების გამოვლენისა და ანალიზის პროცესის ფახვეწა
- **ამოცანა 1.3** სასწავლო პროგრამების განახლება/ შედგენა
- **ამოცანა 1.4** სტაჟირების პროცესის სტანდარტიზაცია
- **ამოცანა 1.5** სასწავლო კურიკულუმების განახლება / დახვეწა
- **ამოცანა 1.6** სწავლების უნიფიცირებული მეთოდოლოგიის დანერგვა/გამოყენ
- **ამოცანა 1.7** ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვა სწავლების პროცესში
- **ამოცანა 1.8** ტრენერებისა და მენტორების შერჩევის პროცედურის ფახვეწა
- **ამოცანა 1.9** სწავლების ხარისხის შეფასების პროცესის დახვეწა

სტრატეგიული მიზანი 2. ორგანიზაციული განვითარება

- **ამოცანა 2.1** ორგანიზაციული სტრუქტურის რედიზაინი
- **ამოცანა 2.2** ორგანიზაციული პროცესებისა და პროცედურების აღწერა
- **ამოცანა 2.3** ადამიანური რესურსების შესაძლებლობების გაძლიერება
- **ამოცანა 2.4** დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაძლიერება
- **ამოცანა 2.5** საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება
- **ამოცანა 2.6** სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგის დანერგვა
- **ამოცანა 2.7** ტექნიკური აღჭურვილობის სრულყოფა

სტრატეგიული მიზანი 3. შიდა და გარე კომუნიკაციის განვითარება

- **ამოცანა 3.1** საკომუნიკაციო გეგმის შემუშავება
- **ამოცანა 3.2** კომუნიკაციის მექანიზმების განვითარება
- **ამოცანა 3.3** საჯაროობა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა
- **ამოცანა 3.4** სკოლის საკომუნიკაციო შესაძლებლობების გაძლიერება
- **ამოცანა 3.5** მარკეტინგული გეგმის შემუშავება
- **ამოცანა 3.6** მარკეტინგული გეგმის განხოციელება

სტრატეგიული მიზანი 1. ხარისხიანი სწავლების უზრუნველყოფა

სწავლება სკოლის მთავარი ორგანიზაციული პროცესია, შესაბამისად, ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფა, დამხმარე ორგანიზაციული პროცესების დახვეწა მიმართული უნდა იყოს სწავლების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფაზე.

ამოცანა 1.1 სამოსამართლო კანდიდატების სწავლების ხანგრძლივობის გაზრდა

1.1.1 სწავლების ხანგრძლივობის გაზრდასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირების პროცესის ხელშეწყობა[1]

1.1.2 სწავლების ხანგრძლივობის გაზრდის შესახებ შიდასამართლებრივი აქტების მოდიფიცირება.

ამოცანა 1.2 სწავლების საჭიროებების გამოვლენისა და ანალიზის პროცესის დახვეწა

1.2.1 მოსამართლეებისა და სასამართლო მოხელეების გადამზადების პროგრამებისთვის საჭიროებების გამოვლენის არსებული მექანიზმის გაუმჯობესება

1.2.2 საჭიროებების გამოვლენის პროცესის უწყვეტობის უზრუნველყოფა.

ამოცანა 1.3 სასწავლო პროგრამების განახლება/შედგენა

1.3.1 ახალი სასწავლო პროგრამების შემუშავება

1.3.2 არსებული სასწავლო პროგრამების განახლება

1.3.3 ახალი და განახლებული სასწავლო პროგრამების დანერგვა.

ამოცანა 1.4 სტაჟირების პროცესის გაძლიერება

1.4.1 სტაჟირების ვადის გაზრდა

1.4.2 სტაჟირების გავლის ერთიანი სტანდარტის შემუშავება

1.4.3 სტაჟირების გავლის ერთიანი სტანდარტის დანერგვა.

ამოცანა 1.5 სასწავლო კურიკულუმების განახლება /დახვეწა

1.5.1 სასწავლო პროგრამის კურიკულუმების დახვეწის მექანიზმის შემუშავება

1.5.2 კურიკულუმების განახლება/შექმნა

1.5.3 სასწავლო მასალების განახლება/შექმნა

1.5.4 ტრენინგის სპეციალური სახელმძღვანელოების შემუშავება ტრენერებისათვის

1.5.5 სასწავლო მასალების პუბლიკაცია ელექტრონული ფორმით

1.5.6 სასწავლო პროგრამების/კურიკულუმების/ტრენინგ-მასალების საავტორო უფლებაზე ზრუნვა.

ამოცანა 1.6 სწავლების უნიფიცირებული მეთოდოლოგიის დანერგვა/გამოყენება

1.6.1 ზრდასრულთა განათლების მეთოდოლოგიის დანერგვა

1.6.2 ტრენერების გადამზადება ზრდასრულთა სწავლების მეთოდოლოგიაში

1.6.3 მენტორების გადამზადება სტაჟირების საკითხებზე.

---

[1] იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ შემუშავებულია საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომელიც სხვა ცვლილებებთან ერთად, გულისხმობს მოსამართლედ დასანიშნი პირების სწავლების ხანგრძლივობის გაზრდას 15 თვემდე. საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი უნდა განიხილოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ და უზრუნველყოს მისი შემდგომი ინიცირების პროცესი.

ამოცანა 1.7 ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვა სწავლების პროცესში

1.7.1 დისტანციური სწავლების პროგრამის დანერგვა

1.7.2 ვებ პორტალის გამოყენება სასწავლო პროცესში

1.7.3 სკოლის ბიბლიოთეკის ელექტრონული ონლაინ კატალოგის მომზადება.

ამოცანა 1.8 ტრენერებისა და მენტორების შერჩევის პროცედურის დახვეწა

1.8.1 ტრენერების შესარჩევი კრიტერიუმების განახლება და შერჩევის პროცესის დახვეწა

1.8.2 მენტორების შესარჩევი კრიტერიუმების შემუშავება და შერჩევის პროცესის დახვეწა.

ამოცანა 1.9 სწავლების ხარისხის შეფასების პროცესის დახვეწა

1.9.1 სწავლების ხარისხის შეფასების მექანიზმის შემუშავება და შეფასების პროცესის პერმანენტულობის უზრუნველყოფა

1.9.2 სამოსამართლო კანდიდატების სწავლების შეფასების ინსტრუმენტების შემდგომი განვითარება

1.9.3 სასამართლოს მოხელეებისთვის გადამზადების ტრენინგების შეფასების ინსტრუმენტების დახვეწა

1.9.4 სხვა სასწავლო კურსების შეფასების ინსტუმენტის დანერგვა.

სტრატეგიული მიზანი 2. ორგანიზაციული განვითარება

სკოლის მისიასა და ამოცანებთან სრულად თავსებადი სტრუქტურის ჩამოყალიბება, სკოლის ადამიანური, ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მუდმივი განვითარება მნიშვნელოვანია სკოლის საქმიანობის ეფექტიანობის უზრუნველყოფისთვის.

ამოცანა 2.1 ორგანიზაციული სტრუქტურის რედიზაინი

2.1.1 ორგანიზაციული სტრუქტურის რედიზაინი და შესაბამისი სამართლებრივი ცვლილებების მომზადება

2.1.2 ორგანიზაციის სტრუქტურის რედიზაინის შესაბამისად, არსებული თანამშრომლების ტრენინგები ან/და ახალ პოზიციებზე დანიშვნის შესაძლებლობის შესწავლა

2.1.3 ორგანიზაციის სტრუქტურის რედიზაინის შედეგად ჩამოყალიბებული სტრუქტურის შესაბამისი პერსონალით დაკომპლექტება.

ამოცანა 2.2 ორგანიზაციული პროცედურებისა და პროცესების აღწერა

2.2.1 სასწავლო პროცესების, როგორც მთავარი ორგანიზაციული პროცესების აღწერა – სასწავლო საჭიროებების გამოვლენის პროცესი, კურიკულუმების/სასწავლო პროგრამების დახვეწის პროცესი, ელექტრონული სწავლების (e-learning) პროცესი, ზრდასრულთა განათლების მეთოდოლოგიის დანერგვის პროცესი, ტრენინგ მასალების შემუშავების პროცესი, სწავლების ხარისხის შეფასების პროცესი, პროგრამების საბჭოს სამუშაო პროცესი, ბიბლიოთეკის/დოკუმენტაციის ცენტრის მასალების მართვის პროცესი

2.2.2 დამხმარე ორგანიზაციული პროცესების აღწერა (რეკრუტმენტი, პროკურმენტი, ბიუჯეტირება, დოკუმენტბრუნვა და ა.შ)

2.2.3 სასწავლო ღონისძიებების ორგანიზების სტანდარტების აღწერა.

ამოცანა 2.3 ადამიანური რესურსების შესაძლებლობების გაძლიერება

2.3.1 თანამდებობრივი „პროფაილების“ და სამუშაო აღწერილობების შექმნა /დახვეწა

2.3.2 რეკრუტმენტის პოლიტიკის შემუშავება, პროცესის აღწერა და დანერგვა

2.3.3 თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების გეგმის შემუშავება

2.3.4 პერსონალის მოტივაციის სქემის შემუშავება და დანერგვა

2.3.5 პერსონალის შეფასების სისტემის შემუშავება და დანერგვა.

ამოცანა 2.4 დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაძლიერება

2.4.1 პარტნიორ დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის გაღრმავება

2.4.2 დაფინანსების ახალი წყაროების შესაძლებლობების შესწავლა

2.4.3 ახალი დონორი ორგანიზაციების მოზიდვა.

ამოცანა 2.5 საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება

2.5.1 საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება

2.5.2 მართლმსაჯულების სფეროს უცხოურ ტრენინგ ინსტიტუციებთან თანამშრომლობის ფორმების და შესაძლებობების შესწავლა და მათთან თანამშრომლობა.

ამოცანა 2.6 სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის დანერგვა

2.6.1 სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის პროცედურის აღწერა

2.6.2 სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის განხორციელება.

ამოცანა 2.7 ტექნიკური აღჭურვილობის სრულყოფა

2.7.1 სკოლის ოფისების და ტექნიკური აღჭურვილობის საჭიროებების შეფასება (სკოლის მიმდინარე და დაგეგმილი აქტივობების ჭრილში)

2.7.2 ცენტრალური (თბილისის) ოფისების აღჭურვა

2.7.3 რეგიონული (ბათუმი, წყალტუბო) ოფისების აღჭურვა

2.7.4 თანამედროვე ელექტრონული პროგრამების დანერგვა (ვებ გვერდის განახლება, ვებ პორტალი და ა.შ.)

2.7.5 კომპიუტერული აუდიტორიის შექმნა/აღჭურვა.

სტრატეგიული მიზანი 3. შიდა და გარე კომუნიკაციის განვითარება

იუსტიციის უმაღლესი სკოლის საკომუნიკაციო სტრატეგიის მთავარი მიზანი სკოლის რეპუტაციის მშენებლობაა, რომლის მიღწევა მაღალი ხარისხის სწავლების შეთავაზების გარდა, ემყარება შიდა და გარე ეფექტიან კომუნიკაციას.

ამოცანა 3.1 საკომუნიკაციო გეგმის შემუშავება

3.1.1 გარე და შიდა აუდიტორიასთან ეფექტიანი საკომუნიკაციო არხების იდენტიფიცირება

3.1.2 ადეკვატური ინფორმაციის შინაარსისა და ფორმატის განსაზღვრა გარე სამიზნე ჯგუფებისთვის

3.1.3 საკომუნიკაციო გეგმის დოკუმენტის შემუშავება.

ამოცანა 3.2. კომუნიკაციის მექანიზმების განვითარება

3.2.1 კორპორატიული სტილის სახელმძღვანელოს (გაიდი) შემუშავება (ელექტრონული წერილის, საპრეზენტაციო დოკუმენტების, ტრეინინგ მასალების, ინგლისურენოვანი დოკუმენტების ტერმინების დახვეწა)

3.2.2 შიდა აუდიტორიის კორპორატიული ლოიალურობის განვითარება:

- ახალი თანამშრომლების, მასწავლებლების, სტაჟირების კოორდინატორებისთვის (მენტორებისთვის), დამოუკიდებელი საბჭოს ახალი წევრებისთვის ადაპტაციის სახელმძღვანელოს/გაიდის დანერგვა
- თანამშრომელთა გასვლითი შეხვედრების ორგანიზება.

ამოცანა 3.3 საჯაროობა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

3.3.1 ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვა/განვითარება (სოციალური ქსელები, ვებ გვერდი/ვებ პორტალი და ა.შ.)

3.3.2 მედიასთან ურთიერთობის გეგმის შემუშავება და მისი განხორციელება

3.3.3 ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა საზოგადოებისთვის და დაკავშირებული მხარეებისთვის

3.3.4 საინფორმაციო პოლიტიკის შემუშავება მოწყვლადი ჯგუფებისთვის[2]
(საკომუნიკაციო პროდუქტების ალტერნატიულ ფორმატში ხელმისაწვდომობა, მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების შესაბამისი ელექტრონული კომუნიკაციისა და ინტერნეტ ხელმისაწვდომობის საერთაშორისო სტრანდარტების გამოყენება).

ამოცანა 3.4 სკოლის საკომუნიკაციო შესაძლებლობების გაძლიერება

3.4.1 საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სტრუქტურული ერთეულის კადრებით დაკომპლექტება

3.4.2 კომუნიკაციის ეფექტურობის შეფასების მექანიზმის შემუშავება და შეფასების განხორციელება

3.4.3 საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სტრუქტურული ერთეულის ტექნიკური და ტექნოლოგიური შესაძლებლობების გაძლიერება.

ამოცანა 3.5 მარკეტინგული გეგმის შემუშავება

3.5.1. მარკეტინგული გეგმის შემუშავება.

ამოცანა 3.6 მარკეტინგული გეგმის განხორციელება

3.6.1. ახალი სამიზნე ჯგუფების გამოვლენა/განახლება

3.6.2. ახალი სამიზნე ჯგუფების სასწავლო საჭიროებების გამოვლენა/განახლება

3.6.3. ახალი სამიზნე ჯგუფების საჭიროებებზე მორგებული სასწავლო პროგრამების შემუშავება/განახლება

3.6.4. გამოვლენილი სამიზნე ჯგუფებისთვის შეთავაზებების შემუშავება/განახლება

3.6.5. ახალი სერვისების გაყიდვები.

[2] ეთნიკური უმცირესობები და შშმ პირები

IV. დასახული გეგმის შესრულების მონიტორინგის პროცედურა, შეფასების ინდიკატორები

მონიტორინგის მეშვეობით, სტრატეგიულ გეგმაში დასახული აქტივობების განხორციელების ეტაპზე, უნდა შემოწმდეს რამდენად კარგად მუშაობს გეგმა, მიიღწევა თუ არა სასურველი შედეგები და რა ცვლილებებია გასატარებელი. გეგმის შესრულების შეფასებისას, მიღებული შედეგების მიხედვით უნდა მოხდეს სტრატეგიული გეგმის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მისი კორექტირება.

სტრატეგიულ გეგმაში ასახული თითოეული აქტივობის შესრულებაზე გამოყოფილია პასუხისმგებელი პირი, რომელიც აუცილებელი არ არის აქტივობების შემსრულებელიც იყოს. თუმცა, მის შესრულებაზე პასუხისმგებლობა, ფინანსური რესურსების არსებობის შემთხვევაში, აკისრია პასუხისმგებელ პირს.

სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასებისთვის ორგანიზაციაში უნდა გამოიყოს პირი/პირები, რომელიც ვალდებული იქნება კვარტალურად ან წელიწადში ორჯერ, მოიძიოს ინფორმაცია პასუხისმგებელი პირებისგან დაგეგმილი აქტივობების შესრულების თაობაზე. თავის მხრივ, პასუხისმგებელი პირები ვალდებულნი არიან დროულად მიაწოდონ ინფორმაცია მონიტორინგის და შეფასების პროცესზე პასუხისმგებელ პირს. სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების განხორციელების წესი განისაზღვრება იუსტიციის უმაღლესი სკოლის დირექტორის მიერ.

წელიწადში ორჯერ, პასუხისმგებელი პირი ამზადებს მოკლე ანგარიშს მონიტორინგის შედეგების შესახებ და წარუდგენს იუსტიციის უმაღლესი სკოლის ხელმძღვანელს/მენეჯმენტს. ყოველ წელს მენეჯმენტმა უნდა განიხილოს წლის შედეგები და საჭიროების შემთხვევაში, მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები გეგმაში ცვილებების შეტანის თაობაზე.

V. სამოქმედო გეგმა

(სტრატეგიული მიმართულებები / ამოცანები/აქტივობები)

		სტრატეგიული მიმართულებები	შედეგი/დასრულებული გარემოება	ინდიკატორი/გადამოწმების საშუალება	ვადა
სტრატეგიული მიზანი 1 - ხარისხიანი სწავლების უზრუნველყოფა					
ამოცანა 1.1 სამოსამართლო კანდიდატების სწავლების ხანგრძლივობის გაზრდა					
აქტივობები	1.1.1	სწავლების ხანგრძლივობის გაზრდასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირების პროცესის ხელშეწყობა	გამართულია შეხვედრები შესაბამის უწყებებთან/ დაინტერესებულ პირებთან	შეხვედრების შესახებ მოკლე ანგარიშები	2014 წელი, 2015 წლის პირველი ნახევარი
	1.1.2	სწავლების ხანგრძლივობის გაზრდის შესახებ შიდასამართლებრივი აქტების მოდიფიცირება	მომზადებულია სწავლების ხანგრძლივობის გაზრდის შესახებ შიდასამართლებრივი აქტების პროექტები	შიდასამართლებრივი აქტები	2015 წელი (სავარაუდო ვადა)
			მომზადებული ცვლილებები განსახილველად გადაეცა სკოლის დამოუკიდებელ საბჭოს	საბჭოს სხდომის ოქმები	2015 წელი (სავარაუდო ვადა)
ამოცანა 1.2 სწავლების საჭიროებების გამოვლენისა და ანალიზის პროცესის დახვეწა					
აქტივობები	1.2.1	მოსამართლეებისა და სასამართლო მოხელეების გადამზადების პროგრამებისთვის საჭიროებების გამოვლენის არსებული მექანიზმის გაუმჯობესება	• ამუშავებულია ვებ პორტალი • მოდიფიცირებულია საჭიროებების გამოვლენის მექანიზმები	საჭიროებების გამოვლენის დოკუმენტი/ვებ პორტალი	2015 წელი
	1.2.2	საჭიროებების გამოვლენის პროცესის უწყვეტობის უზრუნველყოფა	დანერგილია საჭიროებების გამოვლენის მექანიზმი	საჭიროებების შეფასების დოკუმენტი	2015-2018 წლები (ყოველწლიურად)

ამოცანა 1.3 სასწავლო პროგრამების განახლება / შედგენა					
აქტივობები	1.3.1	ახალი სასწავლო პროგრამების შემუშავება/ არსებული სასწავლო პროგრამების განახლება	შემუშავებულია/ განახლებულია სასწავლო პროგრამები სამოსამართლო კანდიდატებისთვის	სასწავლო პროგრამები სამოსამართლო კანდიდატებისთვის	2016 წელი
			შემუშავებულია/ განახლებულია სასწავლო პროგრამები სასამართლოს მოხელეებისთვის	სასწავლო პროგრამები სასამართლოს მოხელეებისთვის	2015 წელი
			შემუშავებულია/ განახლებულია გადამზადების პროგრამები მოქმედი მოსამართლეებისა და მოხელეებისთვის	სასწავლო პროგრამები მოქმედი მოსამართლეებისა და მოხელეებისთვის	2014 - 2018 წლები (ყოველწლიურად)
	1.3.2	ახალი და განახლებული სასწავლო პროგრამების დანერგვა	დანერგილია სასწავლო პროგრამები სამოსამართლო კანდიდატებისთვის	სასწავლო პროგრამები	2017 წელი
			დანერგილია სასწავლო პროგრამები სასამართლო მოხელეებისთვის (მსურველები)	სასწავლო პროგრამები	2015 წელი
			დანერგილია გადამზადების პროგრამები მოქმედი მოსამართლეებისა და სასამართლო მოხელეებისთვის	სასწავლო პროგრამა	2015–2018 წლები (ყოველწლიურად)
ამოცანა 1.4 სტაჟირების პროცესის გაძლიერება					
აქტივობები	1.4.1	სტაჟირების ვადის გაზრდა	მომზადებულია სწავლების ხანგრძლივობის გაზრდის შესახებ შიდასამართლებრივი აქტების პროექტები	შიდასამართლებრივი აქტები	2015 წელი (სავარაუდო ვადა)
	1.4.2	სტაჟირების გავლის ერთიანი სტანდარტის შემუშავება	სტანდარტიზირებულია სტაჟირების გავლის პროცესი	სტაჟირების გავლის სტანდარტი	2015 წელი
			შემუშავებულია მენტორის მიერ სტაჟიორის შეფასების კრიტერიუმები	სტაჟიორის შეფასების კრიტერიუმები	2015 წელი
			შემუშავებულია სტაჟიორის მიერ მენტორის შეფასების კრიტერიუმები	მენტორის შეფასების კრიტერიუმები	2015 წელი
	1.4.3	სტაჟირების გავლის ერთიანი სტანდარტის დანერგვა	დანერგილია სტაჟირების ერთიანი სტანდარტები	ცვლილება სკოლის შიდასამართლებრივ აქტებში; შეფასებები, ანგარიშები	2015 წელი

ამოცანა 1.5 სასწავლო კურიკულუმების განახლება /დახვეწა					
აქტივობები	1.5.1	სასწავლო პროგრამების კურიკულუმების დახვეწის მექანიზმის შემუშავება	სასწავლო პროგრამებისთის შემუშავებულია კურიკულუმების დახვეწის მექანიზმი	კურიკულუმების შემუშავების მექანიზმი	2015 წელი
	1.5.2	კურიკულუმების განახლება/შექმნა	განახლებულია/შექმნილია კურიკულუმები	კურიკულუმები	2015-2016 წლები
	1.5.3	სასწავლო მასალების განახლება/შექმნა	განახლებულია/შექმნილია სასწავლო მასალები	სასწავლო მასალები	2015-2016 წლები
	1.5.4	ტრენინგის სპეციალური სახელმძღვანელოების შემუშავება ტრენერებისთვის	შემუშავებულია ტრენინგის სახელმძღვანელოები	ტრენინგის სპეციალური სახელმძღვანელოები	2015 წელი
	1.5.5	სასწავლო მასალის პუბლიკაცია ელექტრონული ფორმით	გამოქვეყნებულია სასწავლო მასალები	გამოქვეყნებული მასალები	2015-2016 წლები
	1.5.6	სასწავლო პროგრამების/ კურიკულუმების/ტრენინგ-მასალების საავტორო უფლებაზე ზრუნვა	გაფორმებულია შეთანხმებები სასწავლო მასალის ავტორებთან	შეთანხმებები	2016-2017 წლები
ამოცანა 1.6 სწავლების უნიფიცირებული მეთოდოლოგიის დანერგვა/გამოყენება					
აქტივობები	1.6.1	ზრდასრულთა განათლების მეთოდოლოგიის დანერგვა	დანერგილია ზრდასრულთა განათლების მეთოდოლოგია	ზრდასრულთა განათლების მეთოდოლოგიის დოკუმენტი	2015 წელი
	1.6.2	ტრენერების გადამზადება ზრდასრულთა სწავლების მეთოდოლოგიაში	გადამზადებულია ტრენერები ზრდასრულთა განათლების მეთოდოლოგიაში	• ჩატარებული ტრენინგების ამსახველი ფოტომასალა • ტრენინგების მონაწილეთა რეგისტრაციის ფურცელი	2015 წელი
	1.6.3	მენტორების გადამზადება სტაჟირების საკითხებზე	გადამზადებულია მენტორები სტაჟირების საკითხებზე	• ჩატარებული ტრენინგების ამსახველი ფოტომასალა • ტრენინგების მონაწილეთა რეგისტრაციის ფურცელი	2015 წელი
ამოცანა 1.7 ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვა სწავლების პროცესში					
აქტივობები	1.7.1	დისტანციური სწავლების პროგრამის დანერგვა	დანერგილია დისტანციური სწავლების პროგრამა	დისტანციური სწავლების პროგრამა	2018 წელი

	1.7.2	ვებ-პორტალის გამოყენება სასწავლო პროცესში	გადამზადებულია მომხმარებელი ვებ პორტალის გამოყენებაში	• ჩატარებული ტრენინგების ამსახველი ფოტომასალა • ტრენინგების მონაწილეთა რეგისტრაციის ფურცელი	2015 წელი
			ვებ პორტალი გამოყენებულია სასწავლო პროცესში	ელექტრონული სასწავლო მასალები ელექტრონული შეფასებები	2015 წელი
	1.7.3	სკოლის ბიბლიოთეკის ელექტრონული ონლაინ კატალოგის მომზადება	მომზადებულია ონლაინ კატალოგი	ბიბლიოთეკის ონლაინ კატალოგი	2015 წელი
ამოცანა 1.8 ტრენერებისა და მენტორების შერჩევის პროცედურის დახვეწა					
აქტივობები	1.8.1	ტრენერების შესარჩევი კრიტერიუმების განახლება და შერჩევის პროცესის დახვეწა	განახლებულია ტრენერების შერჩევის კრიტერიუმები და დამტკიცებულია შესაბამისი სამართლებრივი აქტით	ტრენერების შერჩევის კრიტერიუმების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი	2015 წელი
	1.8.2	მენტორების შესარჩევი კრიტერიუმების განახლება და შერჩევის პროცესის დახვეწა	განახლებულია მენტორების შერჩევის კრიტერიუმები და დამტკიცებულია შესაბამისი სამართლებრივი აქტით	მენტორების შერჩევის კრიტერიუმების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი	2015 წელი
ამოცანა 1.9 სწავლების ხარისხის შეფასების პროცესის დახვეწა					
აქტივობები	1.9.1	სწავლების ხარისხის შეფასების მექანიზმის შემუშავება და შეფასების პროცესის პერმანენტულობის უზრუნველყოფა	შემუშავებულია სწავლების ხარისხის შეფასების მექანიზმები	შეფასების მექანიზმის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი	2015 წელი
			ჩატარებულია სწავლების ხარისხის შეფასება	სწავლების ხარისხის შეფასების ანგარიშები	2015 – 2018 წლები (უწყვეტი პროცესი)
	1.9.2	სამოსამართლო კანდიდატებისთვის სწავლების შეფასების ინსტრუმენტების შემდგომი განვითარება	შემუშავებულია სამოსამართლო კანდიდატების სწავლების ხარისხის შეფასების ინსტრუმენტები (კითხვარი)	შეფასების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი შეფასების ინსტრუმენტი (კითხვარი)	2015 წელი
	1.9.3	სასამართლოს მოხელეებისთვის გადამზადების ტრენინგების შეფასების ინსტრუმენტების დახვეწა	შემუშავებულია სასამართლოს მოხელეების სწავლების ხარისხის შეფასების მექანიზმები	შეფასების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი	2015 წელი

	სტრატეგიული მიმართულებები	**შედეგი/დასრულებული გარემოება**	**ინდიკატორი/გადამოწმების საშუალება**	**ვადა**
სტრატეგიული მიზანი 2 - ორგანიზაციული განვითარება				
ამოცანა 2.1 ორგანიზაციული სტრუქტურის რედიზაინი				
აქტივობები	2.1.1 ორგანიზაციული სტრუქტურის რედიზაინი და შესაბამისი სამართლებრივი ცვლილებების მომზადება			
	• პროგრამების საბჭოს შექმნისთვის აუცილებელი საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება	მომზადებულია პროგრამების საბჭოს შექმნისთვის საჭირო საკანონმდებლო ცვლილებები	საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი	2015 წელი
	• ახალი ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნა (სქემა)	მომზადებულია ორგანიზაციის ახალი სტრუქტურული სქემა	ორგანიზაციის სტრუქტურული სქემა	2014 წელი, 2015 წლის პირველი ნახევარი
	• სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების და პასუხისმგებლობების განსაზღვრა	შემუშავებულია სკოლის სტრუქტურის შემადგენელი ერთეულების ფუნქციები და პასუხისმგებლობები	სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების და პასუხისმგებლობების აღწერილობა	2014 წელი, 2015 წლის პირველი ნახევარი
	• სამართლებრივი ცვლილებების მომზადება	მომზადებულია ორგანიზაციის ახალი სტრუქტურის შესაბამისი სამართლებრივი ბაზა	სამართლებრივი ცვლილებების პაკეტი	2014 წელი, 2015 წლის პირველი ნახევარი
	2.1.2 ორგანიზაციის სტრუქტურის რედიზაინის შესაბამისად, არსებული თანამშრომლების ტრენინგები ან/და ახალ პოზიციებზე დანიშვნის შესაძლებლობის შესწავლა	ჩატარებულია შეფასება	შეფასების დოკუმენტი	2015 წელი

	2.1.3 ორგანიზაციის სტრუქტურის რედიზაინის შედეგად ჩამოყალიბებული სტრუქტურის შესაბამისი პერსონალით დაკომპლექტება	• შიდა და გარე კონკურსები • შესაბამისი კანდიდატურების შერჩევა	ვაკანსიის განცხადება/ გასაუბრებების ოქმები	2015 წელი (საჭიროების შესაბამისად)
ამოცანა 2.2 ორგანიზაციული პროცედურებისა და პროცესების აღწერა				
აქტივობები	2.2.1 სასწავლო პროცესების აღწერა	აღწერილია სასწავლო პროცესები:		
		• სასწავლო საჭიროებების გამოვლენის პროცესი	პროცესის აღწერის დოკუმენტი	2015 წელი
		• კურიკულუმების/სასწავლო პროგრამების, ტრენინგ მასალების შემუშავებისა და დახვეწის პროცესი	პროცესის აღწერის დოკუმენტი	2015 წელი
		• ელექტრონული სწავლების (e-learning) პროცესი	პროცესის აღწერის დოკუმენტი	2018 წელი
		• ზრდასრულთა განათლების მეთოდოლოგიის დანერგვის პროცესი	პროცესის აღწერის დოკუმენტი	2015 წელი
		• სწავლების ხარისხის შეფასების პროცესი	პროცესის აღწერის დოკუმენტი	2015 წელი
		• პროგრამების საბჭოს სამუშაო პროცესები	პროცესის აღწერის დოკუმენტი	2015 წელი
		• ბიბლიოთეკის/ დოკუმენტაციის ცენტრის მასალების მართვის პროცესი	პროცესის აღწერის დოკუმენტი	2015 წელი
	2.2.2 დამხმარე ორგანიზაციული პროცესების აღწერა	აღწერილია სკოლის დამხმარე ორგანიზაციული პროცესები (რეკრუტმენტი; პროკურმენტი; ბიუჯეტირება; დოკუმენტბრუნვა)	პროცესების აღწერის დოკუმენტები	2015 წელი
	2.2.3 სასწავლო ღონისძიებების ორგანიზების სტანდარტების აღწერა	აღწერილია სასწავლო ღონისძიებების ორგანიზების სტანდარტები (მონაწილეთა რეკრუტირების პროცედურა; სასწავლო მასალებით უზრუნველყოფა; სასწავლო ოთახების მოწყობა ტექნიკური საშუალებებით;	სასწავლო ღონისძიების ორგანიზების სტანდარტის დოკუმენტი	2015 წელი

			კვების ხარისხი; მონაწილეთა უზრუნველყოფა საცხოვრისით)		
ამოცანა 2.3 ადამიანური რესურსების შესაძლებლობების გაძლიერება					
აქტივობები	2.3.1	„თანამდებობრივი პროფაილების“ და სამუშაო აღწერილობების შექმნა /დახვეწა	• შემუშავებულია „თანამდებობრივი პროფაილები“ არსებული და ახალი პოზიციებისთვის • დახვეწილია არსებული სამუშაო აღწერილობები • შემუშავებულია ახალ სტრუქტურაზე მორგებული სამუშაო აღწერილობები	• თანამდებობრივი „პროფაილები“ • სამუშაო აღწერილობები	2015 წელი
	2.3.2	რეკრუტმენტის პოლიტიკის შემუშავება, პროცესის აღწერა და დანერგვა	• შემუშავებულია პერსონალის შერჩევის პოლიტიკა • აღწერილია შერჩევის პროცესი	რეკრუტმენტის პოლიტიკის დოკუმენტი	2015 წელი
			შემუშავებული პოლიტიკისა და აღწერის შესაბამისად ხდება პერსონალის შერჩევა	ჩატარებული კონკურსები	2015 წელი (საჭიროების შესაბამისად)
	2.3.3	თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების გეგმის შემუშავება	• განსაზღვრულია თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროებები • შემუშავებულია კვალიფიკაციის ამაღლების გეგმა	საჭიროებების დოკუმენტი კვალიფიკაციის ამაღლების გეგმის დოკუმენტი	2015-2018 წლები (ყოველწლიურად)
	2.3.4	პერსონალის მოტივაციის სქემის შემუშავება და დანერგვა	• შემუშავებულია პერსონალის მოტივაციის სქემები • დანერგილია პერსონალის მოტივაციის სქემები	პერსონალის მოტივაციის სქემები	2015 წელი
	2.3.5	პერსონალის შეფასების სისტემის შემუშავება და დანერგვა	შემუშავებულია პერსონალის შეფასების სისტემა	პერსონალის შეფასების მეთოდოლოგის აღწერა	2015 წელი
			დადგენილი პერიოდულობით ტარდება პერსონალის შეფასება	პერსონალის შეფასების შედეგები	2015-2018 წლები (ყოველწლიურად)

ამოცანა 2.4 დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაძლიერება					
აქტივობები	2.4.1	პარტნიორ დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის გაღრმავება	წარმატებით დასრულებულია მიმდინარე პროექტები	• დასრულებული პროექტების შესახებ ანგარიში	2014 წელი, 2015 წლის პირველი ნახევარი
			ჩატარებულია დონორებთან საკოორდინაციო შეხვედრები (არანაკლებ, ერთი შეხვედრა წელიწადში)	• დონორთა საკოორდინაციო შეხვედრების ანგარიში	2015-2018 წლები (ყოველწლიურად)
	2.4.2	დაფინანსების ახალი წყაროების შესაძლებლობების შესწავლა	შესწავლილია პოტენციურ დონორთა პოლიტიკა	შესწავლის შედეგები	2015-2018 წლები (ყოველწლიურად)
	2.4.3	ახალი დონორი ორგანიზაციების მოზიდვა	• ჩატარებულია პოტენციურ დონორებთან საკოორდინაციო შეხვერდები (არანაკლებ, ერთი შეხვედრა წელიწადში) • სამომავლო თანამშრომლობის შეთანხმებები	შიდა ანგარიშები	2015-2018 წლები (ყოველწლიურად)
ამოცანა 2.5 საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება					
აქტივობები	2.5.1	საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება	საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობა	წევრობის დამადასტურებელი დოკუმენტი	2014-2015 წლები
	2.5.2	მართლმსაჯულების სფეროს უცხოურ ტრენინგ ინსტიტუციებთან თანამშრომლობის ფორმების და შესაძლებობების შესწავლა და მათთან თანამშრომლობა	• ინფორმაცია მოძიებულია მართლმსაჯულების სფეროს უცხოური ტრენინგინსტიტუციების შესახებ • შესწავლილია თანამშრომლობის ფორმები • დამყარებულია კონტაქტი	შესწავლის შესახებ ანგარიშები	2014-2015 წლები
ამოცანა 2.6 სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის დანერგვა					
აქტივობები	2.6.1	სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის პროცედურის აღწერა	აღწერილია სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის პროცედურა	მონიტორინგის პროცედურის დოკუმენტი	2014 წელი, 2015 წლის პირველი ნახევარი

	2.6.2	სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის განხორციელება	• განხორციელებულია სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი • მომზადებულია მონიტორინგის ანგარიშები	სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიშები	2015-2018 წლები (ყოველწლიურად)
ამოცანა 2.7 ტექნიკური აღჭურვილობის სრულყოფა				
ქმედებები	2.7.1	სკოლის ოფისების და ტექნიკური აღჭურვილობის საჭიროებების შეფასება (სკოლის მიმდინარე და დაგეგმილი აქტივობების ჭრილში)	ჩატარებულია ტექნიკური აღჭურვილობის საჭიროებების შეფასება	ტექნიკური აღჭურვილობის საჭიროებების ანალიზის შედეგებები	2014 წელი, 2015 წლის პირველი ნახევარი
	2.7.2	ცენტრალური (თბილისის) ოფისების აღჭურვა	აღჭურვილია თბილისის ოფისები	შეძენილი ტექნიკა და ინვენტარი	2015 წელი
	2.7.3	რეგიონული (ბათუმი, წყალტუბო) ოფისების აღჭურვა	აღჭურვილია რეგიონული ოფისები	შეძენილი ტექნიკა	2016 - 2017 წლები
	2.7.4	თანამედროვე ელექტრონული პროგრამების დანერგვა (ვებ გვერდის განახლება, ვებ პორტალი და ა.შ)	დანერგილია ელ. პროგრამები	ვებ გვერდი ვებ პორტალი ელ-პროგრამები	2015-2016 წლები
	2.7.5	კომპიუტერული აუდიტორიის შექმნა/აღჭურვა	შექმნილია კომპიუტერული აუდიტორია	შესყიდული ტექნიკა/ინვენტარი	2015 წელი

სტრატეგიული მიმართულებები			შედეგი/დასრულებული გარემოება	ინდიკატორი/გადამოწმების საშუალება	ვადა
სტრატეგიული მიზანი 3. შიდა და გარე კომუნიკაციის განვითარება					
ამოცანა 3.1. საკომუნიკაციო გეგმის შემუშავება					
ქმედებები	3.1.1	გარე და შიდა აუდიტორიასთან ეფექტური საკომუნიკაციო არხების იდენტიფიცირება	იდენტიფიცირებულია გარე და შიდა აუდიტორიასთან ეფექტური საკომუნიკაციო არხები	კვლევის შედეგები	2014 წელი, 2015 წლის პირველი ნახევარი
	3.1.2	ადეკვატური ინფორმაციის შინაარსისა და ფორმატის განსაზღვრა გარე სამიზნე ჯგუფებისთვის	შემუშავებულია მესიჯების სისტემა სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისთვის	კვლევის შედეგები	2014 წელი, 2015 წლის პირველი ნახევარი

	3.1.3	საკომუნიკაციო გეგმის დოკუმენტის შემუშავება	შემუშავებულია საკომუნიკაციო გეგმა	შესამაბისი დოკუმენტი	2015 წელი
ამოცანა 3.2 კომუნიკაციის მექანიზმების განვითარება					
აქტივობები	3.2.1	კორპორატიული სტილის სახელმძღვანელოს (გაიდი) შემუშავება	შემუშავებულია კორპორატიული სტილის სახელმძღვანელო	შესამაბისი დოკუმენტი	2015 წელი
	3.2.2	შიდა აუდიტორიის კორპორატიული ლოიალურობის განვითარება	ამაღლებულია შიდა კორპორატიული ლოიალურობის დონე	პერსონალის შეფასების შედეგები	2016 წელი (უწყვეტი პროცესი)
ამოცანა 3.3 საჯაროობა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა					
აქტივობები	3.3.1	ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვა/განვითარება (სოციალური ქსელები, ვებ გვერდი/ვებ პორტალი და ა.შ)	დანერგილია თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები	• სოციალური გვერდის ფუნქციონირება; • ახალი ვებ გვერდის ფუნქციონირება; • ვებ პორტალის ფუნქციონირება	2014 წელი, 2015 წლის პირველი ნახევარი
	3.3.2	მედიასთან ურთიერთობის გეგმის შემუშავება და მისი განხორციელება	შემუშავებულია მედიაგეგმა	მედია გეგმის დოკუმენტი	2014 წელი, 2015 წლის პირველი ნახევარი
			განახლებულია და განხორციელებულია მედია გეგმა	• განხორციელებული მედია აქტივობების შესახებ ანგარიშები	2014-2018 წლები (ყოველწლიურად)
	3.3.3	ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა საზოგადოებისთვისა და დაკავშირებული მხარეებისთვის	• ვებ გვერდი მუდმივად განახლებადია • ვებ პორტალზე განთავსებულია საჭირო ინფორმაცია • სკოლის სოციალური მედიის გვერდზე მუდმივად განახლებულია ინფორმაცია	• ვებ პორტალზე განთავსებული ინფორმაცია • სოციალურ მედიაში განთავსებული ინფორმაცია	2014 - 2018 წლები (უწყვეტი პროცესი)
			• ვებ გვერდზე არსებობს შიდა ძიების ინსტუმენტი • არსებობს ვებ გვერდიდან მეილის მიწერის ინსტრუმენტი	• ვებ გვერდის შინაარსი და სტრუქტურა	2014 წელი, 2015 წლის პირველი ნახევარი

	3.3.4	საინფორმაციო პოლიტიკის შემუშავება მოწყვლადი ჯგუფებისთვის[3]	შემუშავებულია საინფორმაციო პოლიტიკა მოწყვლადი ჯგუფებისთვის	მოწყვლადი ჯგუფებისთვის საინფორმაციო პოლიტიკის დოკუმენტი	2016-2017 წლები
ამოცანა 3.4 სკოლის საკომუნიკაციო შესაძლებლობების გაძლიერება				
აქტივობები	3.4.1	კომუნიკაციის ეფექტიანობის შეფასების მექანიზმის შემუშავება და შეფასების განხორციელება	შემუშავებულია სკოლის კომუნიკაციის ეფექტიანობის შეფასების მექანიზმი	კომუნიკაციის ეფექტიანობის შეფასების მეთოდოლოგიის დოკუმენტი	2015 წელი
			განხორციელებულია კომუნიკაციის ეფექტიანობის შეფასება	ჩატარებული კვლევის ანგარიში	2016 წელი
	3.4.2	საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სტრუქტურული ერთეულის ტექნიკური და ტექნოლოგიური შესაძლებლობების გაძლიერება	• შეძენილია ტექნიკური აღჭურვილობა • შეძენილია პროგრამული უზრუნველყოფა	• შეძენილი ტექნიკა • შეძენილი და დანერგილი პროგრამული უზრუნველყოფა	2015 წელი
ამოცანა 3.5 მარკეტინგული გეგმის შემუშავება				
აქტივობები	3.5.1	მარკეტინგული გეგმის შემუშავება	შემუშავებულია მარკეტინგული გეგმა	მარკეტინგული გეგმის დოკუმენტი	2015 წელი
ამოცანა 3.6 მარკეტინგული გეგმის განხორციელება				
აქტივობები	3.6.1	ახალი სამიზნე ჯგუფების გამოვლენა/განახლება	გამოვლენილია პოტენციური სამიზნე ჯგუფები	პოტენციური სამიზნე ჯგუფების სია	2015-2018 წლები
	3.6.2	ახალი სამიზნე ჯგუფების სასწავლო საჭიროებების გამოვლენა/განახლება	გამოვლენილია ახალი სამიზნე ჯგუფების სასწავლო საჭიროებები	ახალი სამიზნე ჯგუფების საჭიროებების შეფასების/ანალიზის ანგარიში	2015-2018 წლები
	3.6.3	ახალი სამიზნე ჯგუფების საჭიროებებზე მორგებული სასწავლო პროგრამების შემუშავება/განახლება	შემუშავებულია ახალი სამიზნე ჯგუფების საჭიროებებზე მორგებული სასწავლო პროგრამები	ახალი სამიზნე ჯგუფებისთვის შემუშავებული სასწავლო პროგრამები	2015-2018 წლები

[3] ეთნიკური უმცირესობები და შშმ პირები

	3.6.4	გამოვლენილი სამიზნე ჯგუფებისთვის შეთავაზებების შემუშავება/განახლება	შემუშავებულია შეთავაზებების საპრეზენტაციო ვერსიები	შეთავაზებების საპრეზენტაციო ვერსიები	2015-2018 წლები
			ჩატარებულია პრეზენტაციები	ჩატარებული პრეზენტაციების შესახებ მოკლე ანგარიშები	2015-2018 წლები
	3.6.5	ახალი სერვისების გაყიდვები	ჩატარებულია ტრენინგები ახალი სამიზნე ჯგუფებისთვის	გაფორმებული კონტრაქტები	2015-2018 წლები